ეკონომიკური აქტიურობა და დასაქმებული ქალების რაოდენობა



ქალების დასაქმების სტრუქტურა



უმუშევრობის დონე (პროცენტებში)



საშუალო თვიური ხელფასი (ქალები)



მხარს ვუჭერთ ქალბატონების ინტენსიურობით გამორჩეულ სექტორებს

საფეიქრო ინდუსტრიას

მოდის ინდუსტრიას

შემოქმედებით ინდუსტრიას

მიკრო მეწარმეობის ხელშეწყობა

ხორციელდება 2015 წლიდან

დატრენინგებული ქალი მეწარმეები: **3,200**

დაფინანსებული ქალი მეწარმეები: **1,934**

> 40%

ქალი ბენეფიციარები

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირი ნელი ფირცხელიანი

წინაპირობა: პროექტის ავტორს, ქალბატონ ნელი ფირცხელიანს გააჩნია დიდი გამოცდილება თუმცა ბიზნესის გასაფართოებლად არ გააჩნდა საჭირო თანხები.

პროექტი: ნელი ფირცხელიანმა მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში მიიღო თანადაფინანსება 5,000 ლარის ოდენობით და მოახდინა საოჯახო რეწვის ბიზნესის გაუმჯობესება შეიძინა რა გარკვეული საკერავ-საქარგავი მანქანა დანადგარები. „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის გრანტმა დიდი სტიმული მისცა აქტიურად გაემართა საოჯახო ბიზნესი.

Facts and Figures:

- **კომპანიის ტიპი:** არსებული
- **დასაქმება:** 1 ადამიანი
- პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება მთელი საქართველოს მასშტაბით, ასევე თანამშრომლობს ადგილობრივ ჰოსტელებთან. სერვისის სახით, ქალაქში ჩამოსულ ტურისტებს სთავაზობს სახელოსნოს მონახულებას და მოთექვის პროცესში მონაწილეობის მიღებას.

ECO HANDMADE

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირი ინდ. მეწარმე დარეჯანი პაპავა

წინაპირობა: პროექტის ბენეფიციარი თანხების უქონლობის გამო ვერ ახერხებდა საკუთარი ბიზნეს იდეის მატერიალიზაციას.

პროექტი: დარეჯან პაპავამ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში სახელმწიფო თანადაფინანსებით მოიპოვა 3,005 ლარი, შეიძინა საჭირო დანადგარები და ნატურალური ნედლეულისაგან დამზადებული აჯიკის წარმოება წამოიწყო.

Facts and Figures:

- **კომპანიის ტიპი:** სტარტაპი
- **დასაქმება:** დასაქმებულია 2 ადამიანი
- წარმოებული პროდუქცია უკვე საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს ადგილობრივ ბაზარზე და მომხამრებელიც მრავლად ჰყავს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ამხანაგობა „ისინი ჩვენს შორის არიან“

წინაპირობა: პროექტის ბენეფიციარები წლების განმავლობაში თანხების უქონლობის გამო ვერ ახერხებდნენ საკუთარი იდეის განხორციელებას.

პროექტი: ამხანაგობამ „ისინი ჩვენს შორს არიან“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში სახელმწიფო თანადაფინანსება 8,025 ლარი მოიპოვა. ამხანაგობის წევრები ქალბატონი მანანა და ინგა დასაქმებულები არიან ინკლუზიურ სკოლაში. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს ბიზნესის წამოწყება შეექმნათ ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოების შექმნა, რომელიც ასევე ხელს შეუწყობდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების აკადემიური, კოგნიტიური, ფუნქციური და სოციალური უნარების განვითარებას

Facts and Figures:

- **კომპანიის ტიპი**: სტარტაპი
- **დასაქმება**: დასაქმებულია 3 ადამიანი
- ამხანაგობა აქტიურად უკეთებს რეკლამას თავიანთ პროდუქტს და წარმატებით განაგრძობენ ფუნქციონირებას.

ისინი ჩვენს შორის არიან

მცირე მეწარმე ხათუნა ქურდაძე

წინაპირობა: პროექტის ბენეფიციარი წლების განმავლობაში თანხების უქონლობის გამო ვერ ახერხებდა საკუთარი ბიზნესის გაფართოებას.

პროექტი: ხათუნა ქურდაძემ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში მოიპოვა სახელმწიფო თანადაფინანსება (4,100 ლარი) და სამკერვალო ბიზნესი გააფართოვა, სადაც იკერება თეთრეული, სუფრები, საბავშვო გადასაფარებლები სხვადასხვა ნაქარგებითა და ორნამენტებით.

Facts and Figures:

- **კომპანიის ტიპი**: არსებული
- **დასაქმება**: დასაქმებულია 1 ადამიანი

ბენეფიციარი წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხითა და ხელით შესრულებული ექსკლუზიური ნამუშევრებით, რასაც განსაკუთრებული ხიბლი აქვს, საკმაოდ დიდ კონკურენციას უწევს სხვა დანარჩენ სამომხმარებლო ბაზარზე არსებულ პროდუქციას

მცირე მეწარმე ელიზა გოგოლაძე

წინაპირობა: პროექტის ავტორს ჰქონდა საკმაოდ დიდი გამოცდილება , თუმცა ბიზნესის განხორციელებას ვერ იწყებდა საკუთრი სასხსრებით.

პროექტი: ელიზა გოგოლაძემ სახელმწიფო თანადაფინანსებით მოიპოვა 5,000 ლარი და გააფართოვა არსებული სასათბურე მეურნეობა. აწარმოებს ფიჭვის ნაწარმს და გირჩის მურაბას.

Facts and Figures:

- **კომპანიის ტიპი**: არსებული
- **დასაქმება**: დასაქმებულია 2 ადამიანი

აღნიშნული პროდუქცია მოიპოვება მაღალმთიან ადგილებში (ბორჯომი, ბაკურიანი, ახალციხე) სადაც ტურისტების რაოდენობა ყოველთვის მაღალია და მათში დიდი პოპულარობით სარგებლობს, შესაბამისად პროდუქტზე მოთხოვნა ყოველთვის მაღალია. გაფართოების შედეგად პროდუქციის დიდი რაოდენობით წარმოება კი ეხმარება მეტი მომხმარებლის მოზიდვაში.

- https://www.youtube.com/watch?v=CC4N9n1mGtY
- https://www.youtube.com/watch?v=vU52f0E9Bpw